



საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგები

2012 წლის 1 აპრილი - 28 სექტემბერი



ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და ის შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნოსისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES), USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

ანგარიში მომზადდა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრებაშესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება, რადგანაც ქვეყანა შერეული მმართველობის სისტემაზე გადადის და საკანონმდებლო ორგანოს როლი საგრძნობლად იზრდება. გარდა ამისა, პოლიტიკურ ძალთა არსებული გადანაწილება იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ეს არჩევნები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტული იქნება. შესაბამისად, წინასაარჩევნო პროცესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ეს ანგარიში ჩვენი წინა კვლევის გაგრძელებაა, რომელიც 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 აგვისტომდე მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესების ანალიზს მოიცავდა. ამჯერად აქცენტი გაკეთდა ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდზე, კერძოდ, 2012 წლის 1 აგვისტოდან 28 სექტემბრამდე მომხდარ მოვლენებზე.

ანგარიში ოთხი თავისგან შედგება. **პირველ** თავში სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენებაზე იქნება საუბარი, **მეორე** თავი პოლიტიკური ნიშნით ბენოლის ფაქტებს მიმოიხილავს, **მესამე** თავი სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენებას შეეხება, ხოლო **მეოთხე** თავი ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევებს გააანალიზებს.

I. სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება

სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსები ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია პოლიტიკური ოპონენტების არათანაბარ პირობებში ჩასაყენებლად და მმართველი პარტიისთვის უპირატესი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ამგვარ რესურსებში სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება იგულისხმება. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს კანონის იმგვარი ცვლილება, რომელიც მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს აზიანებს, კანონის არაერთგვაროვანი აღსრულება, არასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება და სხვა.

წინასაარჩევნო პერიოდში ბევრი შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც კანონებისა და სხვა სახის სამართლებრივი რეგულაციების გამოყენება ხდებოდა მმართველი გუნდის სასარგებლოდ ან მისი პოლიტიკური ოპონენტების საწინააღმდეგოდ. ასეთი ქმედებები ხორციელდებოდა, როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლების მხრიდან. რამდენიმე პრობლემა რჩება თვითონ კანონმდებლობაშიც.

1. აღმასრულებელი ხელისუფლების არასათანადო გადაწყვეტილებები და ქმედებები

სამართლებრივი რესურსების მიკერძოებული და არასათანადო გამოყენების შემთხვევების უმეტესობა აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტიდან მომდინარეობდა. ამ კუთხით კვლავ გამოირჩეოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ამასთანავე, რამდენიმე სადავო გადაწყვეტილება მიიღო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც. იყო შემთხვევები, როდესაც ობიექტურობისგან შორს იყო ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიაც.

1.1. არჩევნების დღის დანიშვნა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ არაერთხელ მიუთითებდა არჩევნების დღის დროული დანიშვნის მნიშვნელობაზე¹. აუცილებელია, რომ საარჩევნო პროცესში ჩართულმა სუბიექტებმა შეძლონ წინასაარჩევნო კამპანიის სათანადო დაგეგმვა. როდესაც პრეზიდენტს აქვს სრული დისკრეცია თარიღის შესარჩევად, მხოლოდ მმართველ გუნდს რჩება საშუალება, შესაბამისად დაგეგმოს წინასაარჩევნო ღონისძიებებიც. ამასთანავე, მრავალჯერ აღინიშნა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ², რომ წინასაარჩევნო პერიოდი უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს, ვიდრე 60 დღე. რეალურად პოლიტიკური სუბიექტები გაცილებით ადრე იწყებენ წინასაარჩევნო კამპანიას, თუმცა ამ პერიოდში არ მოქმედებს შესაბამისი რეგულაციები, რაც მოიცავს, როგორც გარკვეულ შეზღუდვებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, ასევე სარგებელს პოლიტიკური სუბიექტებისათვის - საარჩევნო რეკლამის სახით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია არჩევნებისთვის კონკრეტული დღის განსაზღვრაც. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების დღე შეიძლება დაინიშნოს კვირის

¹ იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ანგარიში 2010 წლის 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შესახებ „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიისთვის“. 2010წ.

http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Final%20Report%20on%20AAR_GEO.pdf

² იხ. კამპანია „ეს შენ გეხებას“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი

<http://eshhengkehba.ge/?menuid=9&lang=1&id=456>

ნებისმიერ დღეს, რომელიც უქმე დღედ ცხადდება³. უკანასკნელი წლების მანძილზე არჩევნები ყოველთვის კვირა დღეს ემთხვეოდა, რაც დადებითი მოვლენა იყო. მართალია, კანონმდებლობით ნებისმიერი დღის შერჩევაა დასაშვები, უმჯობესია, არჩევნები კვირა დღეს ტარდებოდეს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების დღედ 2012 წლის 1 ოქტომბერი - ორშაბათი - დაადგინა, რაც არასასურველ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ეს დღე უქმედ ცხადდება, მოსალოდნელია, რომ 1 ოქტომბერს საკმაოდ ბევრი სანარმო და ორგანიზაცია მაინც იმუშავებს, რამაც, შესაძლოა, ამომრჩეველთა აქტივობაზე უარყოფითად იმოქმედოს. გარდა ამისა, არჩევნების დღე უქმედ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება, რაც საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს დამატებით პრობლემას შეუქმნის.

1.2. „მეტი სარგებელი ხალხს“ - მთავრობის პროგრამა მმართველი პარტიის სამსახურში

ივლისში საქართველოს მთავრობამ ახალი სამთავრობო პროგრამა - „მეტი სარგებელი ხალხს“ წარმოადგინა, რომელიც მიზნად ისახავდა სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური დახმარებების ზრდას და ა.შ. აღნიშნულ პროგრამას არაერთი სამთავრობო სარეკლამო აქცია თუ ღონისძიება მიეძღვნა, რომელთა დაფინანსებაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა საქართველოს მთავრობის მიერ არის შექმნილი, მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ მთელი საარჩევნო კამპანია ზუსტად ამ ლოზუნგზე „მეტი სარგებელი ხალხს“ ააგო და საარჩევნოდ დარეგისტრირდა შესაბამისი სახელით - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-2¹ პუნქტების თანახმად, შემოწირულებად ითვლება პოლიტიკური პარტიისთვის ან მის სასარგებლოდ უსასყიდლოდ გაცემული მატერიალური ან არამატერიალური ნებისმიერი ფასეულობა.

გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო სუბიექტმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ დაირქვა სამთავრობო პროგრამის სახელი, რომელიც, ასევე მთავრობის მთავარი დევიზი და ლოზუნგია, ამომრჩევლისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა მთავრობისა და პარტიის ერთმანეთისაგან მკაფიო გამიჯვნა.

ამის გამო, საქართველოს მთავრობის მიერ სამთავრობო პროგრამისთვის - „მეტი სარგებელი ხალხს“ - გაკეთებული რეკლამების თუ ღონისძიებების მონაცემები განხილულ უნდა იყოს, როგორც პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მთავრობისგან უსასყიდლოდ მიღებულ არამატერიალური ფასეულობა. ეს კი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად აკრძალულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან რთულია აღნიშნული ფაქტი განხილულ იქნეს უკანონო შემოწირულების მიღების კლასიკურ შემთხვევად, რადგან შემოწირულების განხორციელებას თან უნდა ახლავდეს ე.წ. ვოლუნტარული ელემენტი შემოწირულობის განმახორციელებლის მხრიდან, ანუ შემომწირველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თვითონ გადაწყვიტოს განახორციელებს თუ არა ასეთ ქმედებას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი არ არის შემოწირულობის განხორციელების კლასიკური შემთხვევა, მიგვაჩნია, რომ თავისი არსითა და ზემოთ აღნიშნული 25-ე მუხლის

³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში „საარჩევნო კოდექსი“). N5636-რს. 27.12.2011. სსმ ვებგვერდი, 10.01.2012. მუხლი 6.

მე-2 და მე-2¹ პუნქტების ობიექტურ ტელეოლოგიური განმარტებით, ეს ქმედება მაინც წარმოადგენს შემოწირულების მიღებას მმართველი პარტიის მიერ.

ამ შემთხვევაში კანონის ნორმები, მისი მიზნიდან/ამონაცანებიდან გამომდინარე უნდა იქნას განმარტებული. კანონის მიზანია უზრუნველყოს პოლიტიკური პარტიებისთვის თანასწორი და სამართლიანი გარემოს შექმნა. ხოლო კანონით სახელმწიფოსაგან ნებისმიერი პარტიისთვის ყოველგვარი შემოწირულობის მიღების აკრძალვის მიზანია, რომ პირველ რიგში მთავრობისგან იქნას უზრუნველყოფილი ყველა პარტიის თანასწორი მოპყრობა. შესაბამისად, არც ერთ პარტიას არ უნდა მიეცეს სახელმწიფო რესურსების იმგვარად გამოყენების საშუალება, რომელიც სხვა პარტიებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

რა თქმა უნდა, კანონი ყველაფერს ამომწურავად ვერ მოაწესრიგებდა, შესაბამისად იმისთვის, რომ სხვადასხვა გზებით პარტიებს თუ სხვა სუბიექტებს არ განეხორციელებინათ ისეთი ქმედებები, რომლებიც კანონის გვერდის ავლით წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონის მიზნებთან, კანონმდებელმა 27-ე მუხლის მე-6 პუნქტით შემოიტანა „კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის სხვაგვარად გვერდის ავლის“ აკრძალვა. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კანონმდებლის სურვილს, განმარტებულ იქნას შესაბამისი ნორმები კანონის ობიექტური მიზნიდან გამომდინარე და უზრუნველყოფილ იქნას პოლიტიკური პარტიების კონკურენციისთვის თანასწორი და სამართლიანი გარემოს არსებობა.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მმართველი პარტიის ზემოთ მოყვანილი ქმედებით აშკარად დაირღვა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიზანი.

1.3. საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების საწინააღმდეგოდ

2012 წლის სექტემბრის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოქვეყნდა რამდენიმე ოპერატიული აუდიო-ვიდეო მასალა. მათი ნაწილი მოპოვებული იყო საქართველოს და საფრანგეთის სამართალდამცავი უწყებების ურთიერთობის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი მასალის გამოქვეყნების გამო საფრანგეთის საგარეო უწყებამ უკმაყოფილება გამოთქვა, რამდენადაც ქართულმა მხარემ ისე განასაჯაროვა საგამოძიებო მასალები, რომ ფრანგული მხარისაგან სათანადო თანხმობა არ მიუღია⁴.

წინასაარჩევნო პერიოდში საგამოძიებო მასალის საჯარო გამოქვეყნება პოლიტიკური ოპონენტების გარკვეულ ქმედებებში დადანაშაულების მიზნით, მაშინ, როდესაც ამავე პირების მიმართ არ ხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ბრალის წაყენება, შეიძლება გამიზნული იყოს ამომრჩევლებისაგან ამავე ოპონენტების საწინააღმდეგო განწყობის მისაღებად.

მიზანშეუწონელია ასეთ პერიოდში საგამოძიებო ოპერატიული მასალის პოლიტიკური ოპონენტების საწინააღმდეგოდ გამოყენება კონკრეტული საქმის აღძვრისა და ბრალდების გარეშე და შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი რესურსების ბოროტად გამოყენებად, რაც არ ისახავს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, მის აღკვეთას ან მის პრევენციას, არამედ მხოლოდ ამომრჩევლის განწყობაზე ზემოქმედებისკენაა მობილიზებული. ამ ეჭვს ამყარებს ის ფაქტიც, რომ მსგავსი პრაქტიკა - წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების შესახებ მაკომპრომიტირებელი აუდიო-ვიდეო მასალების გამოქვეყნება და ფილმების გადაღება - წარსულში სხვა არჩევნების წინა პერიოდებშიც ხშირად გამოიყენებოდა.

⁴ <http://www.diplomatie.gouv.fr/fr/pays-zones-geo/georgie/la-france-et-la-georgie/evenements-21285/article/georgie-divulgateur-d-informations>

1.4. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არასათანადო ქმედებები

2012 წლის პირველი აგვისტოდან საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო კანონმდებლობის მთავარი აღმასრულებელი ორგანო გახდა, რომელსაც ხშირად კანონების განმარტებისა და მათი შესაბამისი ინტერპრეტაციის ფუნქციაც აკისრია. წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მხრიდან რამდენიმე მიკერძოებული ქმედება დაფიქსირდა.

1.4.1. საარჩევნო სუბიექტისთვის ნომრის მინიჭებისას წარმოქმნილი პრობლემები

20 აგვისტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“⁵ უარი უთხრა მისთვის სასურველი ნომრის - 7-ის მინიჭებაზე⁶, რითაც მნიშვნელოვნად აზარალა აღნიშნული კოალიცია. ეს შემთხვევა შეგვიძლია მივიჩნიოთ სამართლებრივი რესურსების საარჩევნო მიზნებით გამოყენებად.

20 აგვისტოს ცესკომ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის გამოყენების წესის შესაბამისად, საარჩევნო ბლოკის ნომერი განისაზღვრებოდა მისი წესდებით. ამასთანავე, ბლოკში შემავალ ყველა პარტიას მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიღებული უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში⁷.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკი შექმნეს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებმა, ბლოკის წესდებაში მათ უნდა მიუთითონ, რომელი პარტიის რიგითი ნომრით ისარგებლებენ.“ ამ ჩანაწერიდან ცალსახად არ იკითხება, რომ ბლოკის შემადგენელი ყველა პარტია უნდა იყოს წინა საპარლამენტო არჩევნების მონაწილე. ამას ადასტურებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გასული პერიოდის გადანყვეტილებებიც. კერძოდ, 2010 წელს სწორედ ამ ნორმის საფუძველზე მიენიჭათ რიგითი ნომრები ბლოკ „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან დემოკრატიულ გაერთიანებას“ და ბლოკ „ალიანსი საქართველოსთვის“⁸. ბლოკის შემადგენლობაში იყო ახლად შექმნილი პარტიებიც. საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-14 მუხლის პირველი (ა) ნაწილის მიხედვით ცესკო ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება და შესაბამისად პატივი სცეს მის მიერ დანერგილ პრაქტიკას. სწორედ ამას ემსახურება ცესკოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმიც. აღსანიშნავია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების დანიშვნამდეც არაერთხელ განაცხადა, რომ აპირებდა ბლოკის ერთ-ერთი წევრი პარტიის რიგითი ნომრის გამოყენებას და ფინანსური ხარჯიც გასწია სააგიტაციო მასალების დამზადებისთვის და საკმაო ხნით ადრე საჯაროდ იყო ცნობილი ნომერი „7“-ის გამოყენების მიზანი. ასეთი ქმედებების საფუძველს სწორედ ერთგვაროვანი მიდგომა იძლეოდა. ცესკოს მიზანი უნდა იყოს საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, რის უზრუნველსაყოფად მას მინიმუმ შეეძლო მიეთითებინა პარტიისათვის, წინასწარ არ გამოეყენებინა ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების რიგითი ნომერი და ამისათვის სერიოზული ფინანსური რესურსების მობილიზება არ მოეხდინა.

⁵ ბლოკში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებებია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „კონსერვატიული პარტია“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

⁶ http://cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=9350

⁷ http://cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=9344

http://cec.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=13&info_id=9349

⁸ http://www.cesko.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=6011

1.4.2. კენჭისყრის დღეს ფოტოვიდეოგადაღების უფლების შეზღუდვა

საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, „ცესკოს დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის მიღებაც შეიძლება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.“ 2012 წლის 24 სექტემბერს ცესკომ მიიღო დადგენილება N42/2012 „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც არსებითად შეზღუდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა უფლება ფოტოვიდეოგადაღების წარმოებაზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ცესკოს არ ჰქონდა უფლება ასეთი დადგენილება გამოეცა. საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს პირდაპირ დათქმას, რომ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აქვს უფლება განსაზღვროს არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების ფოტოვიდეოგადაღების უფლება. საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი ცალსახად განსაზღვრავს, რომ „კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შემლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება.“ ამ ნორმით პირდაპირაა განსაზღვრული ფოტოვიდეოგადაღებაზე უფლებამოსილ პირთა წრე და გადაღების წესი. საარჩევნო კოდექსი არსად არ ითვალისწინებს ამ წესის დასაზუსტებლად ნორმატიული აქტის გამოცემის შესაძლებლობას.

გარდა იმისა, რომ ცესკო არ იყო უფლებამოსილი მიეღო ხსენებული დადგენილება, თავად დადგენილების რიგი ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კოდექსს, კერძოდ, კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტის, რომელიც კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების ყველა პირს აძლევს ფოტოვიდეოგადაღების უფლებას. ფოტოვიდეოგადაღება უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს კენჭისყრის კაბინაში გადაღება და არ შეეშალოს ხელი საარჩევნო პროცესს. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისია თვლის, რომ პირი ხელს უშლის საარჩევნო პროცესს ფოტოვიდეოგადაღებით, საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე კომისიას შეუძლია იმსჯელოს კოლეგიურად და გააძევოს ხელშემშლელი პირი. ნორმატიული აქტით ამ საკითხის დარეგულირება იმგვარად, რომ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირმა ვერ შეძლოს დარღვევის დაუყოვნებლივ დაფიქსირება წარმოადგენს როგორც საარჩევნო კოდექსის, ასევე საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას, რომლითაც უზრუნველყოფილია ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება. ცესკოს დადგენილება #42/2012, რომლითაც იზღუდება ინფორმაციის მიღება-გავრცელების უფლება კენჭისყრის დღეს, არის როგორც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“, ასევე საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის დარღვევა, რითაც ხელი შეეშლება არჩევნების სამართლიან, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში ჩატარებას. მიზანი, რომლისთვისაც დადგენილება იქნა მიღებული - ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველყოფა, არანაირ კავშირში არ არის დადგენილებით მოცემულ საშუალებასთან, რამდენადაც კენჭისყრის კაბინის გადაღება კანონით ისედაც აკრძალულია და ამისათვის სათანადო სანქციები სისხლის სამართლის კოდექსითაც არის მოცემული.

ცესკოს ეს დადგენილება ზღუდავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მძიმე დარტყმას აყენებს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას. კერძოდ, დადგენილება გულისხმობს თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან გადაღების წესს, საიდანაც უნდა ჩანდეს საარჩევნო პროცესი, თუმცა ადგილის გამოყოფა მთლიანად თავმჯდომარის გადასაწყვეტია. „მინიმალური მანძილი ნებისმიერი პირისათვის ფოტოვიდეოგადაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან.“ თავად 3 მეტრის დაშორებით ფოტოვიდეოგადაღება, შესაძლოა, არ იყოს პრობლემის შემცველი (რადგან ტექნიკური საშუალებებით ვადრის მოახლოება შესაძლებელია), რომ არა სპეციალურად განსაზღვრული ადგილი, რაც შეიცავს საფრთხეს, რომ ამ ადგილიდან და მანძილიდან დარღვევის დაფიქსირება და მტკიცებულების სახით ფოტო ან ვიდეოფირზე

ასახვა შეიძლება რთული გახდეს. ამასთანავე, დადგენილება უთითებს, რომ მანძილი 3 მეტრი - მინიმალურია, რაც ნიშნავს, რომ თავმჯდომარის მიერ შერჩეული ადგილი შესაძლოა უფრო შორს იყოს, რის გამოც, მტკიცებულების ასახვა შეუძლებელი გახდება.

დადგენილებით მოცემული აკრძალვები ეხება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს, მათ შორის მედიასაშუალებებს და დამკვირვებლებს. აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლისთვის თითქმის შეუძლებელი ხდება მტკიცებულებების მოპოვება. დარღვევის დაფიქსირებისას დამკვირვებელს სჭირდება ფოტოვიდეომასალის გადაღება, რათა მისი არგუმენტები გამყარებული იყოს მტკიცებულებით. იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევი პირი თავად კომისიის თავმჯდომარე აღმოჩნდა, ცხადია, დამკვირვებელი ვერ მოახერხებს მტკიცებულების დაფიქსირებას.

კანონთან არსებით წინააღმდეგობაშია დადგენილების დებულებაც, რომლის თანახმადაც, „იმ შემთხვევაში, თუკი კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი კამერით გადაადგილდება ან ტოვებს კენჭისყრის შენობას, კარგავს ფოტოვიდეოგადაღების წარმოების უფლებას“. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება გულისხმობს კენჭისყრის შენობაში ნებისმიერ დროს შესვლის, გამოსვლის და სხვა სახის გადაადგილებას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების გამო ფოტოგადაღების წარმოების უფლების შეზღუდვა ან, მით უმეტეს, ჩამორთმევა, რამდენადაც ფოტოვიდეოგადაღების უფლება საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტით მინიჭებული უფლებაა ამ პირთათვის.

ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დადგენილება მიღებულ იქნა არჩევნებამდე 7 დღით ადრე. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი რეკომენდაცია ითვალისწინებდა მოთხოვნას, რომ არ მოხდეს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე. განსაკუთრებით, თუ ეს ეხება არჩევნების ჩატარების წესს, კენჭისყრის პროცედურებს და ა.შ. რამდენადაც, შეუძლებელი ხდება ამ რეგულაციების სათანადო გაცნობა და კანონწინააღმდეგობის შემთხვევაში მასზე დავა.

ფოტოვიდეოგადაღების უფლების შემზღუდველი დადგენილების ამ სახით და არჩევნებამდე ასე მცირე პერიოდში მიღება არის მარეგულირებელი რესურსის გამოყენების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი.

1.5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის არაერთგვაროვანი მიდგომები

ისევე როგორც 1 აგვისტომდე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური არასამართლიანი გადაწყვეტილებებით წინასაარჩევნო პერიოდშიც გამოირჩეოდა, რაც ასევე წარმოადგენს სამართლებრივი რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებას.

1.5.1. საარჩევნო რეკლამის თანხების წინასწარ გადახდის ვალდებულების შემოღება

2012 წლის 6 აგვისტოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოსცა № 137/37 ბრძანება, რომელიც ავალდებულებდა საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო რეკლამისათვის საეთერო დროის ან/და გაზეთის ფართობის შესყიდვას წინასწარი ანგარიშსწორებით.

ამ ბრძანებით საარჩევნო სუბიექტებსა და რეკლამის მიმწოდებლებს დაუწესდათ დამატებითი შეზღუდვა, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით არ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული ბრძანება იყო კანონშეუსაბამო და არათანაზომიერი კანონით დადგენილი საჯარო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

ა. კანონშეუსაბამობა

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა შეიძლება მხოლოდ

საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ ორგანოს მიერ აქტის გამოცემა რომელიც იწვევს პირის უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით (კანონიერების პრინციპი).

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32² მუხლი და 34¹-ე მუხლის პირველი პუნქტი საერთოდ არ აძლევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უფლებამოსილებას დამატებითი შეზღუდვები დაუწესოს პოლიტიკურ სუბიექტებსა და სარეკლამო მომსახურების მიმწოდებლებს.

კანონის 34¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას „უზრუნველყოს პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობა“, თუმცა ამ დებულებაში მინიშნებაც კი არ არის დამატებითი შეზღუდვების დაწესების უფლებამოსილების თაობაზე.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ბრძანება არ იყო კანონიერი, რადგანაც მან შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე შეზღუდა, როგორც თავისუფალ მენარმეობის, ასევე პოლიტიკური საქმიანობის უფლება.

ბ. თანაზომიერების პრინციპი

თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული შემზღუდველი ზომა მხოლოდ იმ ინტენსივობითა და ხარისხით იქნეს გამოყენებული, რაც აუცილებელია კონკრეტული საჯარო მიზნის მისაღწევად. დაუშვებელია საჯარო მიზნის მიღწევა განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.⁹

ბემოთ ხსენებული დამატებითი შეზღუდვის დაწესება პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საერთოდ არ იყო აუცილებელი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თავისუფლად შეეძლო გამოეთხოვა სარეკლამო მომსახურების მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულებები და იქ მოცემული გადახდის პირობების გათვალისწინებით ძალიან მარტივად დაედგინა შესაძლო კანონდარღვევის ფაქტი და ამ გზით უზრუნველყო პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა.

ბიზნესის, მათ შორის, სარეკლამო ბიზნესის წარმოებისას გადახდის ვადები უმნიშვნელოვანესია. ხშირად კონკრეტული პოტენციური გარიგებისა თუ მთლიანად კონკრეტული ბიზნესის წარმატება ზუსტად იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად შეუძლია მიმწოდებელს ხელშეკრულების მეორე მხარეს გადაუვადოს მიწოდებული საქონლისა თუ მომსახურების საფასურის გადახდა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური რეკლამისთვის საფასურის წინასწარ გადახდის მოთხოვნას მედიასაშუალებები შესაძლოა სერიოზულად ეზარალებინა.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ისედაც გართულებული დაფინანსების პირობებში ამ გვარი შეზღუდვის შემოღებით კიდევ უფრო გაძნელდა საარჩევნო კამპანიის წარმოება.

1.5.2. სისხლის სამართლის კოდექსის 164¹-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაცია.

2012 წლის 17 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი კონსერვატიული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მ. კაჭახიძემ მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

თავმჯდომარეს ნაღდი ფულის სახით გადასცა 7000 ლარი, რომელიც წინასწარ მოძებნილ ექვს ფიზიკურ პირზე გადანაწილდა; აღნიშნულმა პირებმა თანხა თვალთმაქცური გარიგების გზით ისევ კონსერვატიული პარტიის ანგარიშზე სანეფროს სახით გადარიცხეს. ამასთან დაკავშირებით ეს პირები დააკავეს, რომელთაც „ბრალი წარედგინებათ სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 164¹-ე მუხლით - კანონით დადგენილი შეზღუდვისათვის თავის არიდების მიზნით თვალთმაქცური გარიგების დადებისათვის¹⁰.“

27 აგვისტოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ შეწირული თანხების კანონიერების შესწავლის პროცესში მიიჩნია, რომ ერთი პირის შემოწირულების შემთხვევაში გამოიკვეთა თვალთმაქცური გარიგების დადების ნიშნები და საქმე საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა, რადგან აუდიტის სამსახურის აზრით ამგვარი გარიგების დადება სსკ-ს 164¹-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას წარმოადგენდა.

სსკ-ს 164¹ მუხლი ეხება ამომრჩევლის მოსყიდვას, რასაც მისი სათაურიც - „ამომრჩევლის მოსყიდვა“ - ადასტურებს. იგი გულისხმობს საარჩევნო მიზნით, ფულის ან სხვა რაიმე ქონების/უპირატესობის გადაცემა/დაპირებას, ან ასეთის მიღებას, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვისათვის თავის არიდების მიზნით თვალთმაქცური გარიგების დადებას.

შესაბამისად, აღნიშნული მუხლის ბოლო წინადადება - კანონით დადგენილი შეზღუდვისათვის თავის არიდების მიზნით თვალთმაქცური გარიგების დადება - ამ ნორმის მოქმედების ფარგლებში არ აქცევს ყველა თვალთმაქცურ გარიგებას, არამედ იგი მხოლოდ ამომრჩევლის მოსყიდვის მიზნით დადებულ თვალთმაქცურ გარიგებებზე ვრცელდება.

სსკ-ს 164¹ მუხლის წმინდა გრამატიკული (ნორმის გაგება უშუალოდ მისი შინაარსიდან გამომდინარე) განმარტებაც კი საკმარისია, დადგინდეს, რომ მისი მოქმედების სფერო მხოლოდ ამომრჩევლის მოსყიდვაა და არა პარტიისთვის შემოწირულების გაკეთება, თუნდაც თვალთმაქცური ან ნებისმიერი სხვა გარიგების მეშვეობით. თუმცა, აღნიშნული ნორმის ინტერპრეტაციის ნებისმიერი მეთოდით გაგება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამ მუხლის დებულებები (მათ შორის ის რაც ბოლო წინადადებაშია ჩამოყალიბებული) მხოლოდ ამომრჩევლის მოსყიდვას ეხება:

- **თბიქტურ-ტელელოგიური ანუ ნორმის განმარტება მისი მიზნიდან გამომდინარე - 164¹** მუხლის მიზანია პრევენცია მოახდინოს და დასჯადი გახადოს, როგორც ამომრჩევლის პირდაპირი მოქრთამვა, როდესაც პირი ხმის მიცემის სანაცვლოდ პირდაპირ სთავაზობს ამომრჩეველს ქონებრივ სიკეთეს, ასევე თვალთმაქცური თუ მოჩვენებითი გარიგების დადების მეშვეობით ამომრჩევლის ფულადი თუ სხვა ქონებრივი სიკეთით გადმობირების შემთხვევები და ამით უზრუნველყოს ქრთამისაგან თავისუფალი, თანასწორი და კონკურენტული საარჩევნო გარემო. შესაბამისად, იგი ვერ გავრცელდება ყველა კანონის გვერდის ავლის მიზნით დადებულ თვალთმაქცურ თუ მოჩვენებით გარიგებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნისაგან ქონების დაცვის მიზნით, აღნიშნული ქონების გასხვისების თვალთმაქცური გარიგებაც კი ამომრჩევლის მოსყიდვად ჩაითვლება და 164¹ მუხლით დაისჯება, რაც უდავოდ იურიდიული ნონსენსია.

ამ მუხლის მიზნისა და მოქმედების საზღვრების დასადგენად უნდა გამოვიდეთ მუხლის სათაურიდან - „ამომრჩევლის მოსყიდვა“. იმ შემთხვევაში თუ კანონის მიზანი იყო არამართო ამომრჩევლის მოსყიდვის, არამედ უკანონო შემოწირულების კრიმინალიზაცია, მაშინ ნორმის სათაურში ან ტექსტში უკანონო შემოწირულებაც იქნებოდა ნახსენები.

¹⁰ <http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=3447>

- ისტორიული განმარტება: ა) კანონმდებლის ნების მიხედვით ანუ ნორმის განმარტებისას იმ მოსამზადებელი სამუშაოს გათვალისწინება, რომელიც წინ უძღოდა მის მიღებას (იგივე Travaux préparatoires); და ბ) ნორმის განმარტება სამართალშეფარდების არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით:

ა) 2012 წლის მაისში 164¹ მუხლში ცვლილებების შეტანის დროს პარლამენტში დისკუსიისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ისაუბრეს აღნიშნული მუხლის, ვინრო მხოლოდ ამომრჩევლის მოსყიდვის კონტექსტში განმარტების აუცილებლობაზე.¹¹ აქედან გამომდინარე, 164¹ მუხლი ვერ გავრცელდება შემოწირულობის განხორციელების შემთხვევებზე;

ბ) მართალია ქართული კანონმდებლობით სასამართლო პრეცედენტებს არ გააჩნია კანონის ძალა, თუმცა სამართალშეფარდების არსებული პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონის ნორმების ინტერპრეტაციის წყაროდ.

2012 წლის 17 ივლისამდე არაერთხელ ჰქონია ადგილი კანონის გვერდის ავლით შემოწირულობის განხორციელებისთვის სხვადასხვა პირთა წინააღმდეგ სანქციების დაწესებას,¹² მაგრამ ეს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობის საფუძველზე ხდებოდა და არა სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე. შესაბამისად, სამართლის შეფარდების არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, კონსერვატიული პარტიის წევრებისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველის მიმართაც მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა უნდა გამოყენებულიყო.

- სისტემური ან კონტექსტუალური: ნორმის ტექსტის განმარტება საკანონმდებლო სისტემიდან გამომდინარე ან სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებთან თუ ნორმებთან მიმართებაში - უკანონო შემოწირულობის განხორციელება კანონის გვერდის ავლით თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადებით, ასევე სხვა პირის მეშვეობით, საკმაოდ ამომწურავად არის დარეგულირებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. შესაბამისად ამგვარი ქმედება წარმოადგენს არა სისხლის სამართლის დანაშაულს, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ეს კი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ექსკლუზიურ საგნობრივ კომპეტენციას განეკუთვნება და არა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოების.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დავუშვებთ კიდევ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებმა ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველმა პირმა მართლაც დადეს თვალთმაქცური გარიგება, მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სსკ-ს 164¹-ე მუხლით დაუშვებელია, ვინაიდან მათ განახორციელეს არა ამომრჩევლის მოსყიდვა, არამედ პარტიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა ანუ შემოწირულება.

შსს-სა და აუდიტის სამსახურის განცხადებებში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საქმე გვაქვს საქართველოს „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“

¹¹ <http://netgazeti.ge/GE/105/law/10822/>

¹² კონსერვატიული პარტიის წევრების დაკავებამდე ერთი კვირით ადრე გამოცემული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.07.12 დადგენილებით, აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე დააჯარიმა დავით ბაციკაძე, ზაალ გოგსაძე, გივი რამაზაშვილი და სხვები. რადგან, დადგენილების მიხედვით მათ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის გვერდის ავლით განახორციელეს შემოწირულობები. აღნიშნული დადგენილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ 13.07.12 დადგენილებით ძალაში დატოვა; ასევე 12.03.12 აუდიტის სამსახურმა დაადგინა, რომ ქართუ ბანკმა კანონის გვერდის ავლით განახორციელა ფინანსური ტრანზაქცია “ქართული ოცნებისთვის” შემოწირულობის განხორციელების მიზნით და იგი დაჯარიმდა მხოლოდ ადმინისტრაციული წესით.

ორგანული კანონის დარღვევასთან. კერძოდ, აღნიშნული კანონის 26¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება ნებისმიერ ქმედებაზე და პირზე, რომლის მიზანია ამ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისათვის თავის არიდება, მათ შორის, მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებებზე.“ ხოლო კანონის 33¹-ე მუხლის მიხედვით, ყველა ამგვარი გარიგება ბათილია და იწვევს დატარიმებას გარიგების ღირებულების ხუთმაგი ოდენობით კანონის 34²-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

შესაბამისად, თუ ამ მუხლს ისე განვმარტავთ, როგორც კონსერვატიული პარტიისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველების შემთხვევაში განმარტეს სახელმწიფო სტრუქტურებმა, თვალთმაქცური გარიგებით განხორციელებული პარტიის სასარგებლოდ შემოწირულების განხორციელება, როგორც ადმინისტრაციული წესით, ასევე სისხლის სამართლებრივად დასჯადი გამოდის.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.“ კონსტიტუციის მსგავსად განმეორებით მსჯავრდება კრძალავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის¹³ მე-7 ოქმის მე-4 (1) მუხლი: „დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.“¹⁴

აღნიშნული მუხლების ინტერპრეტაციის კუთხით არსებობს ორი მიდგომა, პირველის მიხედვით იგი უნდა გავრცელდეს, როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე. რაც გულისხმობს, რომ თუ პირი არამართლობიერი ქმედების განხორციელებისთვის დაისჯება სისხლის სამართლებრივი წესით, მას იგივე ქმედებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით აღარ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

მეორე მიდგომის თანახმად ზემოაღნიშნული მუხლები მხოლოდ სისხლის სამართლებრივ საქმეებზე ვრცელდება. ეს კი გულისხმობს, რომ თუ პირი არამართლობიერი ქმედების განხორციელებისთვის დაისჯება სისხლის სამართლებრივი წესით მას შეიძლება ადმინისტრაციული წესითაც დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ მისი ქმედება ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ეს არ ჩაითვლება კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის დარღვევად.

თუ სსკ-ს 164¹-ე მუხლს, გავავრცელებთ, როგორც სისხლის ისე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, გამოდის, რომ უკანონო შემოწირულების განსახორციელებლად თვალთმაქცური ან მოჩვენებითი გარიგების დამდებ სსკ-ს 164¹-ე მუხლით მსჯავრდებულ პირს ვერ დაეკისრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის 34²-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონის 26¹-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 34²-ე მუხლის მე-7 პუნქტი და 33¹-ე მუხლი აბსურდული ნორმებია და მათ არსებობას, არანაირი აზრი არ აქვს.

ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ავირჩევთ მეორე მიდგომას და კონსტიტუციისა და კონვენციების ზემოთ აღნიშნულ მუხლებს უშუალოდ მათი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე განვმარტავთ, რაც ნიშნავს, რომ ორმაგი მსჯავრდების აკრძალვა მხოლოდ სისხლის

¹³ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. მიღებული ევროპის საბჭოს მიერ 1950წ.

¹⁴ ევროპული კონვენციის მსგავსად, ორმაგ მსჯავრდებას კრძალავს “საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966წ.) მე-14 (7) მუხლიც.

სამართალს ეხება. ამ შემთხვევაში, თუ პირი ერთი ქმედებით ჩაიდენს, როგორც სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, პროკურატურა ვალდებული იქნება სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს ამ პირზე, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო - დააკისროს პირს ადმინისტრაციული სანქცია.

თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანო ეროვნულ კანონმდებლობას არ დაარღვევს და უკანონო შემოწირულობის განსახორციელებლად თვალთმაქცური ან მოჩვენებითი გარიგების დამდებ სსკ-ს 164¹-ე მუხლით მსჯავდებულ პირს, ასევე დააკისრებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 34²-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ჯარიმას - რაც არის შემოწირულების ხუთმაგი ოდენობა, მაშინ დაიღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. რადგან აღნიშნული კონვენციის სისტემაში სისხლის სამართლებრივ სანქციად დაკვალიფიცირდება პირის დაჯარიმება შემოწირულების ხუთმაგი ოდენობით. ეს კი გამოიწვევს კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 (1) მუხლით აკრძალულ ორმაგ დასჯას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემას გააჩნია ავტონომიური კრიტერიუმები კონკრეტული საქმის სისხლის თუ ადმინისტრაციული სამართლისთვის მიკუთვნების თაობაზე, რომელმაც დასაბამი აიღო „ენგელის საქმიდან“.¹⁵ არსებობს სამი ალტერნატიული ე.წ. „ენგელის კრიტერიუმი“:

- კონკრეტული შემთხვევის კვალიფიკაცია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით;
- კონკრეტული ქმედების (სამართალდარღვევის) ხასიათი;
- სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სასჯელის ხარისხი და სიმკაცრე.

შესაბამისად თუ აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით, კონკრეტული შემთხვევა ჩაითვლება, რომ არის სისხლის სამართლებრივი ხასიათის, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აღნიშნულ შემთხვევაზე გაავრცელებს სისხლის სამართლებრივი საქმისთვის დადგენილ მაღალი სტანდარტის მოთხოვნებს, მათ შორის კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 (1) მუხლით გათვალისწინებულ ორმაგი დასჯის აკრძალვას.

ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობით პირის დაჯარიმება წარმოადგენს ენგელისის მესამე კრიტერიუმით განსახილველ საკითხს.

მე-3 კრიტერიუმის დადგენისას ყურადღება ექცევა სანქციის თვისებებს¹⁶:

ა) არის თუ არა სანქცია საზოგადოებრივი ხასიათის, ანუ შესაძლებელია თუ არა მისი სუბიექტი საზოგადოების ყველა წევრი აღმოჩნდეს, თუ მხოლოდ პირთა ვიწრო წრეზეა გათვლილი;

ბ) სანქციის მიზანი, მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა თუ პირის სამაგალითო დასჯა, რომელსაც სხვა სამართალდარღვევათა პრევენციის ფუნქციაც აქვს (სისხლის სამართლებრივი სასჯელის განსაკუთრებული თვისება).

აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით სისხლის სამართლებრივად დაკვალიფიცირდა შვედეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო სანქციები, რომლის ოდენობა ვადა გადაცილებული გადასახადის 40%-ს შეადგენდა.¹⁷

კანონის 34²-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა - შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობა (500%), სრულად აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს.

¹⁵ Case of Engel and others v. the Netherlands, Application no. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72; Judgment of 8 June 1976.

¹⁶ Case of Janosevic v. Sweden, Application no. 34619/97, Judgment of 23 July 2002

¹⁷ იქვე

შესაბამისად, ევროპული კონვენციის მიზნებისათვის აღნიშნული ჯარიმა, თავისი სიმკაცრით სისხლის სამართლებრივი ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანო მოიქცევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უკანონო შემოწირულობის განსახორციელებლად თვალთმაქცური ან მოჩვენებითი გარიგების დამდებ სსკ-ს 164¹-ე მუხლით მსჯავდებულ პირს დააკისრებს 34²-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ სანქციას, ეს ევროპის კონვენციის მიზნებისათვის განხილულ იქნება, როგორც ორმაგი მსჯავრდება, რაც კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 (1) მუხლის დარღვევაა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში მაღალი ალბათობით, ქვეყანა წააგებს საქმეს.

გარდა ამისა, გაუგებარია რატომ ისჯება თვალთმაქცური ან მოჩვენებითი გარიგებით განხორციელებული უკანონო შემოწირულება სისხლის სამართლებრივი წესით, ხოლო პირდაპირ განხორციელებული უკანონო შემოწირულება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით, ვინაიდან ორივე შემთხვევაში შედეგისა და მიზანის ერთი და იგივეა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სსკ-ს 164¹-ე მუხლი უნდა განიმარტოს ვიწროდ და მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე უნდა გავრცელდეს, რაც ამომრჩევლის მოსყიდვას შეეხება.

1.5.3. უსაფუძვლო დაჯარიმებები

8 აგვისტოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილმა და კახი კალაძემ 2012 წლის განმავლობაში საკუთარი ანგარიშებიდან გაიტანეს რამდენიმე მილიონი ლარი დანიშნულების მიუთითებლად¹⁸ და მოუწოდეს მათ დაებრუნებინათ თანხა. ვინაიდან ორივე პირმა უარი თქვა თანხის დაბრუნებაზე, 9 და 10 აგვისტოს მათ დაეკისრათ ჯარიმები.

აღსანიშნავია, რომ დარღვევების პრევენცია ნამდვილად უნდა იყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქცია და პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის მიღწევა აუცილებელია, თუმცა, საკუთარი ქმედებების განხორციელებისას ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო უნდა ევრდნობოდეს მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს და არა ვარაუდებს. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომ ბიძინა ივანიშვილი ან კახი კალაძე მათ კუთვნილ თანხებს უკანონოდ ხარჯავდნენ, ეს იყო მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვარაუდი. ამასთანავე, დაუშვებელია, სამართალდარღვევის ჩადენაზე მტკიცების ტვირთი ეკისრებოდეს ჩამდენს და არა სახელმწიფო უწყებას, რომელსაც მიაჩნია, რომ სახეზეა კანონდარღვევა. მტკიცებულებათა შეფასება კი უნდა მოხდეს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევით¹⁹. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია სამართალდარღვევად ცნო ფაქტი, რომელიც ჯერ არ ჩადენილა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასეთი ქმედება კანონდარღვევად უკვე მეორედ სცნო²⁰, რაც აბსოლუტურად სცდება სამართლის ჩარჩოებს.

¹⁸ http://sao.ge/?action=news_f&npid=249&lang=geo

¹⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (შემდგომში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში N161. 15.12.1984წ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები N6, 29.06.1973. მუხლი 237.

²⁰ იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიში „წინასაარჩევნო პროცესების ანალიზი“. 2012წ. <http://transparency.ge/post/report/new-ti-georgia-report-pre-election-environment-geo>

1.5.4. შერჩევითი რეაგირებები სამართალდარღვევაზე

ჩვენს წინა ანგარიშში საუბარი გვქონდა ქმედებებზე, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არასრულყოფილად განიხილა და ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტი შეაფასა, როგორც უკანონო შემოწირულება²¹. 31 ივლისს ანალოგიური შემთხვევა მოხდა კახეთში, როდესაც პოლიტიკურმა გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ამომრჩევლებს სადღესასწაულო სუფრით უმასპინძლა²². აღნიშნული ფაქტის გამოძიებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თვეზე მეტი მოანდომა და კვლავ გაუგებარი გადანყვებილება მიიღო. ამ სახელმწიფო ორგანომ ამ შემთხვევაშიც ვერ დაინახა ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები და პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ შემოწირულების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადების დარღვევისთვის დააჯარიმა 5000 ლარით²³. თუმცა სრულიად გაუგებარია რატომ იქნა მიჩნეული ეს ფაქტი, როგორც შემოწირულების განხორციელება და არა - ამომრჩევლის მოსყიდვა.

1.5.5. უკანონო შემოწირულების ფაქტის უგულებელყოფა

მასმედიაში საკმაო გამოხმაურება მოჰყვა 18 აგვისტოს გიგა ნასარიძის განცხადებას²⁴, სადაც მან არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდებას“ სახელით ნებისმიერ მსურველ პოლიტიკურ პარტიას შესთავაზა პოლიტიკური შინაარსის ვიდეოკლიპების უსასყიდლოდ გადაცემა. აღნიშნული შემთავაზებას დათანხმდა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ვიდეორგოლები საკუთარ სარეკლამო კამპანიაში გამოიყენა²⁵. ამ ქმედებით ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდებას“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაარღვიეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, პოლიტიკურ პარტიას ეკრძალება შემოწირულებების მიღება იურიდიული პირებისგან.²⁶ ამ ფაქტთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მოითხოვა გარიგების მონაწილე მხარეთა მიმართ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება, რაც მიღებული/გადაცემული ქონების ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმებას გულისხმობს²⁷.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საჩივრის შეტანის შემდეგ გიგა ნასარიძემ განაცხადა, რომ შემოწირულება განხორციელდა არა იურიდიული პირის - „საქართველო არ იყიდებას“ მიერ, არამედ ფიზიკური პირების - გიგა ნასარიძისა და ირაკლი ლეჟინაძის მიერ, მიუხედავად იმისა რომ მანამდე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრესპიკერი და პარტიის ვებგვერდი ადასტურებდა, რომ მათ შემოწირულება იურიდიული პირისგან მიიღეს.²⁸

ამის მიუხედავად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიჩნია, რომ შემოწირულება მართლაც ფიზიკურმა პირებმა განახორციელეს, თუმცა მათი განცხადებით აღნიშნული შემოწირულება ნასარიძე და ლეჟინაძისგან მიღებული აქვს ასევე ორგანიზაციას „საქართველო არ

²¹ <http://transparency.ge/post/report/new-ti-georgia-report-pre-election-environment-geo>

²² <http://ick.ge/ka/articles/11778-2012-07-31-19-49-23.html>

²³ http://sao.ge/?action=news_f&npid=261&lang=geo

²⁴ <http://goo.gl/c4I35>

²⁵ <http://goo.gl/IVco7>

²⁶ ამ ფაქტზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ადრეც გააკეთა განცხადება

<http://transparency.ge/blog/sakartvelo-ar-iqideba-s-da-mmartveli-partiis-ukanono-garigeba>

²⁷ <http://goo.gl/ECulD>

²⁸ <http://www.itv.ge/?m=16&CID=24286>

იყიდებას²⁹ და რადგან ამ ორგანიზაციამ მიღებული შემოწირულობის დეკლარირება არ მოახდინა 5 დღის ვადაში იგი დაჯარიმდა 5000 ლარის ოდენობით³⁰.

1.6. უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო წლის 1 ივლისს იქმნება უწყებათაშორისი კომისია, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით მოქმედებს ეროვნულ უშიშროების საბჭოსთან. აღსანიშნავია, რომ კომისია არსებობდა 2008 და 2010 წლის არჩევნებზეც, თუმცა საკანონმდებლო ჩანაწერი მისი შემქმნის ვალდებულებით არ გვხვდებოდა.

აღნიშნული ცვლილება მისასაღმებელია და მნიშვნელოვანია, რომ კომისიის საქმიანობა იყოს აქტიური, გამჭვირვალე და თანამშრომლობისაკენ მიმართული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომისიის როლი კანონდარღვევათა პრევენციაში, რისთვისაც არაერთხელ გაკეთდა განცხადებები და რეკომენდაციები სათანადო სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მისამართით³¹. კომისიის რეკომენდაციით და უშუალო ჩარევით არაერთი სამართალდარღვევა გამოვლინდა და მოხდა დროული რეაგირება³².

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უწყებათაშორისი კომისია, როგორც წესი, არ მოქმედებს პროაქტიულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს რეაგირებას თუკი მას ვინმე დარღვევის შესახებ მიაწოდებს ინფორმაციას. კომისია ხშირად ასევე ერიდება სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებას და ზოგადი განცხადებით შემოიფარგლება. მაგალითად, 10 სექტემბერს კომისიამ განცხადება გააკეთა საბიუჯეტო რესურსებით დამზადებული ბეჭდური მასალის აგიტაციის მიზნებისათვის გამოყენებაზე და განაცხადა³³, „კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ გარკვეული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უწყებრივ ვებგვერდებს მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიის გამუქებისა და პარტიული სიმბოლიკის განთავსების მიზნით იყენებენ. კომისიაში ასევე შემოვიდა შეტყობინება, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში განთავსებულ უწყებრივ რეკლამაში ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტი ფიგურირებდა.“ კომისიამ მოუწოდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, შეესწავლათ საკუთარი სახსრებით დამზადებული ბეჭდური მასალები და აღეკვეთათ კანონდარღვევა და შეახსენა, რომ ასეთი ქმედება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაა. ასეთი ქმედება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო რესურსის პარტიული მიზნით გამოყენებაა და შესაბამის სანქციასაც ითვალისწინებს. უწყებათაშორისი კომისიას არ გადაუმოწმებია მისთვის ცნობილი ინფორმაცია და მის მიერ გაცემული რეკომენდაციის თანახმად, არც შესაბამის ორგანოებს მოეთხოვათ სათანადო რეაგირების მოხდენა, მაშინ როდესაც უწყებათაშორისი კომისიის უფლებამოსილება არ შემოიფარგლება მხოლოდ პრევენციული ღონისძიების სახით რეკომენდაციის განვითარებით, არამედ მოიცავს დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი უწყებებისათვის გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით მიმართვასაც.

²⁹ აღნიშნული ვიდეოკლიპები ამ ორგანიზაციის სახელით უკვე გადიოდა რამდენიმე ტელეარხზე და, რადგან ვიდეოკლიპის შემქმნელად ნასარიძე და ლექვიანაძე დასახელდა „საქართველო არ იყიდება“ ყველა შემთხვევაში შემოწირულობის მიმღები გამოდიოდა, რადგან „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 26¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირია.

³⁰ <http://goo.gl/vjYHO>

³¹ <http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6199>

³² <http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6204>; <http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6211>

³³ <http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6207>

2. სასამართლოსა და ადგილობრივი ხელისუფლების არასათანადო ქმედებები

წინასაარჩევნო პერიოდში მიკერძოებული ქმედებებით არამხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები გამოირჩეოდნენ. რამდენიმე მსგავს შემთხვევას ადგილო ჰქონდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების დონეზეც.

2.1. ამომრჩეველთან შეხვედრისთვის ტერიტორიის გამოყოფაზე უარის თქმა

6 აგვისტოს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ქალაქ რუსთავის თვითმმართველობას მიმართა თხოვნით, გამოეყო ადგილი 19 აგვისტოს შეკრების ჩასატარებლად. რუსთავის მერიამ „ქართული ოცნების“ მიერ მითითებულ სამ სხვადასხვა ადგილზე უარი თქვა სხვადასხვა საბაბით, მათ შორის, ქ. რუსთავში, შარტავას მოედანზე აქციის გამართვაზე უარი დაასაბუთა ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებით.

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ითვალისწინებს უარის მხოლოდ ორ საფუძველს: „ა) შეკრება ან მანიფესტაცია რეალურ საფრთხეს უქმნის სანარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას; ბ) სხვა აქციის (რომელზედაც გაფრთხილება უფრო ადრე იქნა შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში) ჩატარება დაგეგმილია იმავე ადგილზე და იმავე დროს.“³⁴ სხვა ყველა შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა იღებს გაფრთხილებას და ვალდებულია უზრუნველყოს შეკრების უსაფრთხოება³⁵. გაფრთხილების ვალდებულება კი სწორედ იმ მიზნიდან გამომდინარეობს, რომ თვითმმართველობამ უზრუნველყოს ტრანსპორტისათვის ალტერნატიული სამოძრაო მარშრუტი და თავიდან აიცილოს მოძრაობის შეფერხება. ამ საფუძვლით უარის თქმა კი, ცალსახად, კანონის დარღვევა და მისი გაუმართლებელი ინტერპრეტაცია იყო.

2.2. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებზე სასამართლოს რეაგირება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებზე სამართალდარღვევის ოქმებს ადგენენ ცესკო, ასევე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები. სამართალდარღვევებზე საქმის წარმოება კი ხდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

9 აგვისტოს www.humanrights.ge-ზე გამოქვეყნდა სტატია³⁶, რომლის თანახმადაც, რუსთავის თვითმმართველობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის უფროსის, მინდია აფციაურის სამუშაო კაბინეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო მასალა იყო გამოკრული. რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიამ სასამართლოს მიმართა და მოითხოვა მინდია აფციაურის 1 000 ლარით დაჯარიმება, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადანყვეტილების თანახმად, „სასამართლომ დაადგინა, რომ მინდია აფციაურის სამუშაო ოთახში ნამდვილად იყო გამოფენილი ჩარჩოში ჩასმული ფოტოილუსტრაცია წარწერით „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“, ციფრი ხუთი და მიხეილ სააკაშვილის პორტრეტი. სასამართლომ განმარტა, რომ „ნაციონალური

³⁴ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. N763. 12.06.1997. საქართველოს პარლამენტის უწყებანი N33, 31.07.1997. მუხლი 10.

³⁵ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

³⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15348&lang=geo>

მოძრაობა-დემოკრატები“ არ წარმოადგენს მიმდინარე საარჩევნო პროცესის მონაწილე სუბიექტს. იგი არ არის კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული და წარმოადგენს სხვა სუბიექტს, რომელიც მონაწილეობდა 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში. 2004 წელს ერთ პარტიად გაერთიანდნენ „ნაციონალური მოძრაობა“ და „თავისუფალი დემოკრატები“ და ასეთი ფორმით მიიღეს მონაწილეობა 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში. აღნიშნული საარჩევნო ბლოკი დღეის მდგომარეობით არ არსებობს. შესაბამისად, მხოლოდ ციფრი ხუთიანის არსებობა ამ პლაკატზე არ გულისხმობს, რომ მინდია აფციაურს მიმდინარე არჩევნებში 5 ნომრით დარეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მასალა ჰქონდა გამოკრული და ეწეოდა წინასაარჩევნო კამპანიას ამისათვის აკრძალულ ადგილას³⁷“.

გარდა იმისა, რომ სასამართლო წარმოებისას ყურადღების გამახვილება მოხდა მხოლოდ იმ ერთ სააგიტაციო მასალაზე, რომელიც 2004 წლის არჩევნებისთვის იყო დამზადებული და სასამართლომ უგულებელყო მეორე სააგიტაციო მასალა, თავად სასამართლოს მიდგომა უნდა შეფასდეს როგორც ცალმხრივი და მიკერძოებული. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, აკრძალულია საჯარო მოხელის მიერ აგიტაციის განწევა უშუალო სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, ხოლო ამ აგიტაციისათვის რა მეთოდს გამოიყენებს მოხელე, კანონის მიზნებისათვის უმნიშვნელოა. მასალა, რომელზეც პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან გამოსახული და მითითებულია საარჩევნო სუბიექტის ერთი რეკვიზი მაინც (ამ შემთხვევაში, ნომერი), საკმარისია სააგიტაციოდ გამოყენებისათვის, ხოლო ასეთი მასალის სამუშაო კაბინეტში განთავსებით, სწორედ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას ხდება აგიტაცია. ამასთანავე, 2004 წლიდან დღემდე 5 ნომრის ქვეშ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის სახელი ფიგურირებს, თუმცა ყოველი მათგანის წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, შესაბამისად, სუბიექტის რიგითი ნომერი ცალსახად ასოცირდება პოლიტიკურ პარტიასთან და შესაბამისად, მის მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტთან.

3. საკანონმდებლო პრობლემები

საარჩევნო მიზნით სამართლებრივი რესურსის გამოყენება არაა მხოლოდ სამართლის ნორმების მიკერძოებულად განმარტება, არამედ თავად ისეთი ნორმების შექმნაცაა, რომელიც ერთ პოლიტიკურ გუნდს სხვებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს. ამ მხრივ რამდენიმე საკანონმდებლო პრობლემა არის აღსანიშნავი.

3.1. საარჩევნო აგიტაცია სახელმწიფო ღონისძიებების დროს

არჩევნების დანიშვნის დღიდან არაერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატები მონაწილეობდნენ სახელმწიფო ღონისძიებებში, რა დროსაც აქტიურ საარჩევნო აგიტაციას ეწეოდნენ. მაგალითად, ბოლნისში დასაქმების სახელმწიფო მინისტრის ვიზიტისას, როდესაც იგი ეცნობოდა დასაქმების მაძიებელთა ანკეტირების პროცესს, მასთან ერთად იმყოფებოდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა ნაყოფია³⁸. ასეთი ტიპის აქტივობები აღიქმება პარტიულ ღონისძიებებად ამომრჩევლისათვის, რაც ამ რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებას უსვამს ხაზს.

მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო ღონისძიებებზე საარჩევნო აგიტაცია არ იკრძალება, იგი თავისი არსით მაინც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ერთ-ერთი სახეა, რამდენადაც ხდება პოლიტიკური გაერთიანებისა და ხელისუფლების აღრევა, რაც

³⁷ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15462&lang=geo>

³⁸ <http://employment.gov.ge/index.php/ge/news/bolnisi>

დაუშვებელია ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის თანახმად³⁹. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა შესაძლებლობას იძლევა, ამ ტიპის რესურსები გამოყენებულ იქნეს ისე, რომ კანონდარღვევა არ დადგეს სახეზე. აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას არაერთხელ ამახვილებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა მისი გათვალისწინება საარჩევნო კოდექსში არ მოხდა⁴⁰.

3.2. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის პირთა ფართო წრე

საქართველოს საარჩევნო კოდექსი აძლევს საარჩევნო სუბიექტებს შესაძლებლობას, ჰყავდეთ წარმომადგენლები საარჩევნო ადმინისტრაციებში⁴¹, რომლებიც სარგებლობენ დამკვირვებლის უფლებებით და რიგ შემთხვევებში დამატებითი ბენეფიციებით.

მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციათა მოთხოვნისა⁴², კანონით არასაკმარისადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისაც არ შეუძლია იყოს წარმომადგენელი. 2010 წლის არჩევნებზე ერთ-ერთ ოლქში თავად სუბიექტი იყო დანიშნული წარმომადგენლად, ამჟამად კი, რამდენიმე ოლქში პოლიტიკური თანამდებობის პირებიც გვევლინებიან ამ პოზიციაზე⁴³. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენელს უფლება აქვს კენჭისყრის დღეს იმყოფებოდეს საარჩევნო უბანზე, რაც საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია ნების თავისუფალი გამოხატვისათვის. კანონმდებლობაში სათანადო აკრძალვის არარსებობა ხშირად იქნა გამოყენებული მმართველი გუნდის მიერ, რაც სამართლებრივი რესურსის გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია.

3.3. საბიუჯეტო თანხების გამოყენებაზე რეაგირების შესაძლებლობის ბუნდოვანება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმიური ტრანსფერების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში.“ პრობლემურია ამავე პუნქტის მეორე წინადადება, რომელიც ასეთი დარღვევის აღკვეთას და რეაგირების საშუალებას ითვალისწინებს. „ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.“ სამწუხაროდ, საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს, ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი პირი. საარჩევნო კოდექსის 77-ე და 78-ე მუხლები დეტალურად ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულ ამათუიმ შემთხვევაში ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი, მიმართოს სასამართლოს ან საარჩევნო ადმინისტრაციას და დარღვევის ჩადენიდან რა ვადებში უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება. კოდექსი ასეთ პროცედურებს არ ითვალისწინებს საბიუჯეტო თანხების გამოყენების შემთხვევაში. 2011 წლის დეკემბრამდე მოქმედი საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებდა ასეთ შემთხვევაში საარჩევნო ადმინისტრაციისათვის მიმართვის შესაძლებლობას, რომელიც უფლებამოსილ პირს დააკისრებდა სანქციას.

საარჩევნო კოდექსის დღევანდელი რედაქციიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, უკეთესი რეგულაციაა და რეაგირების მექანიზმია მოცემული საბიუჯეტო სახსრების გამოყენების

³⁹ <http://www.osce.org/odihr/elections/14304>

⁴⁰ <http://esshengekheba.ge/?menuid=9&lang=1&id=456>

⁴¹ საარჩევნო კოდექსი. მუხლი 42.

⁴² არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. 2011წ. http://www.isfed.ge/pdf/Joint_Recomendations_UEC.pdf

⁴³ <http://goo.gl/9hk84>

შემთხვევაში, თუმცა რეალურად, კანონში კონკრეტული წესის განუსაზღვრელობის გამო, ვრცელდება ზოგადი წესი, რაც გულისხმობს ნორმატიული აქტის (რამდენადაც ბიუჯეტში ცვლილება ნორმატიული აქტია) სასამართლოში აქტის მიერ ზიანის გამოწვევიდან 3 თვის ვადაში გასაჩივრებას და სასამართლო განხილვას, რაც შეიძლება 5 თვემდე გაგრძელდეს. ამასთანავე, აუცილებელია სასამართლოში დადასტურდეს ზიანის დადგომის ფაქტი მოსარჩელისადმი, რაც, შესაძლებელია, დამატებითი ბარიერი გახდეს და სასამართლოს შეუძლია უარი თქვას საქმის განხილვაზე თუ ვერ დაადგენს პირდაპირ და უშუალო ზიანს მოსარჩელისადმი.

კანონში განუსაზღვრელი, არაგანჭვრეტადი რეგულაციის არსებობა, რომელიც თითქმის შეუძლებელს ხდის ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტზე დროულ, ხისტ და ეფექტურ რეაგირებას, შეიძლება ჩავთვალოთ სერიოზულ პრობლემად და სამართლებრივი რესურსის არამიზნობრივ გამოყენებად.

II. პოლიტიკური ნიშნით გეოლოია

წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით კი სექტემბრის ბოლოს, პოლიტიკური ნიშნით გეოლოიის ფაქტების უპრეცედენტო ზრდა დაფიქსირდა, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საარჩევნო გარემოს და უკიდურესად ზრდის დაძაბულობას პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. 19 სექტემბრის შემდეგ გახშირდა „ქართული ოცნების“ აქტივისტების ადმინისტრაციული წესით დაკავებები, ფიზიკური ანგარიშსწორებები და მუქარები, რამაც საგანგაშო ტენდენციის სახე მიიღო. ამასთანავე, იყო შემთხვევები, როდესაც გაურკვეველი მიზეზებით დააპატიმრეს სამოქალაქო აქტივისტები და ერთი სტუდენტი.

1. დაკავება/დაპატიმრება

წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, მხარდამჭერებისა და მათი ახლობლების დაკავების და დაპატიმრების ბევრი ფაქტი დაფიქსირდა, რასაც პოლიტიკური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნულ ეჭვებს აძლიერებს ის გარემოება, რომ განხორციელებული დაკავებები არ ეფუძნება მყარ და უტყუარ მტკიცებულებებს⁴⁴. ასავე საგულისხმოა, რომ სულ რამდენიმე დღის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ათეულობით აქტივისტი და კოალიციასთან დაკავშირებული პირი დააპატიმრეს. დაკავებულთა ზუსტი ციფრის დასახელება საკმაოდ რთულია, რადგანაც ასეთი ფაქტების განსაკუთრებული გახშირების გამო, შეუძლებელია მათი გადამოწმება და დანამდვილებით რამის თქმა. „ქართული ოცნება“ ბოლო დღეების განმავლობაში პოლიტიკური მოტივით დაკავების 60-მდე შემთხვევაზე საუბრობს, მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოს მდივანის, გიგა ბოკერიას თქმით, სულ დაახლოებით 30 ადამიანია ადმინისტრაციული წესით დაკავებული⁴⁵. მოკლე დროის პერიოდში ასეთი სახის საეჭვო დაკავებები წარმოშობს ვარაუდის საფუძველს, რომ მიზანმიმართულად ხდება პოლიტიკურად აქტიური პირების მიმდინარე საარჩევნო პროცესებისგან ჩამოშორება. აღნიშნული შემთხვევებიდან რამდენიმე განსაკუთრებით ყურადსაღებია.

21 სექტემბერს თბილისში ადმინისტრაციული სამართალდაღვევის ჩადენისთვის დაკავებულ იქნა ოთხი პირი – **დავით ფაცაცია, ზურაბ მესხია, შოთა ბაგერაშვილი** და **კონსტანტინე ლაბარტყავა**. ოთხივე დაკავებულს პოლიციამ ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით⁴⁶ წაუყენა. ფაცაციასა და მესხიას შეეფარდათ 40 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.

22 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამოქალაქო აქტივისტები **დაჩი ცაგურია** და **ბექარ ალაღოშვილი** იქნენ დაკავებულნი. მათ 10 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ. საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ ცაგურია აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდების საპროტესტო აქციების ორგანიზებაში, მისი დაკავების ფაქტი დამატებით ეჭვებს წარმოშობს. ვფიქრობთ, წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი ქმედება ცალსახად პოლიტიკურად იყო მოტივირებული.

⁴⁴ რაც ასევე „ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-5 მუხლის მოთხოვნაცაა, მიუხედავად დაკავების სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ხასიათისა.

⁴⁵ <http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6213>

⁴⁶ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

23 სექტემბერს ასევე დაკავებული იქნა მესტიის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი **კაპიტონ (კახა) ჟორჯოლიანი**. იგი დააკავეს ცესკოს წარმომადგენლის, არჩილ სოფრომაძის საჩივრის საფუძველზე, რომლის განცხადებითაც, 20 სექტემბერს ჟორჯოლიანმა იჩიხუბა და ხელი შეუშალა კომისიის მუშაობას. თუმცა კომისიის სხდომის ოთხი წევრისა და ზოგიერთი თვითმხილველის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჩიხუბისა და ხულიგნობის ფაქტი არ მომხდარა. მათი განცხადებით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ სიტყვიერ შელაპარაკებას და ხმამაღალ კამათს. ადმინისტრაციული დაკავების საფუძველი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი, წვრილმანი ხულიგნობაა, რაც ითვალისწინებს სახდელს 100 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღის ვადით. ჟორჯოლიანს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 40 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ამ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას, საქართველოს საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის ზომებს, მათ შორის, კომისიის კოლეგიური გადაწყვეტილების საფუძველზე ხელშემშლელი ან წესრიგის დამრღვევი პირის სხდომიდან გაძევებას (საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-15 და მე-18 პუნქტები). შესაბამისად, მიუღებელია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენება, როდესაც შემთხვევა დარეგულირებულია იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი და სპეციალური კანონით, როგორცაა ორგანული კანონი – საარჩევნო კოდექსი.

21 წლის სტუდენტი, **ალექსანდრე ცაგარელი** 24 სექტემბერს ღამით ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საპროტესტო აქციის დასრულების შემდეგ დააკავეს. თვითმხილველების თქმით, ცაგარელის დაკავებაში სპეცრაზმის სამი მანქანა მონაწილეობდა. მათივე განმარტებით, ცაგარელი აჩერებდა ტაქსს, როდესაც მოხდა მისი აყვანა. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ცაგარელის ადვოკატის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის და ქუჩის სათვალთვალ კამერის მიერ გადაღებული ვიდეომასალის გახსნის შესახებ და მას პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწვევის მუხლით 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

23 სექტემბერს დაკავებული იქნა „ქართული ოცნების“ გორის რაიონის კოორდინატორი **ზვიად საბანაძე**, ასევე **გიორგი ჯანქანიძე** და **პეტრე თავლიაშვილი**. მათი დაკავების მიზეზი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და შინდისში მცხოვრები ირმა პაპუნაშვილის სიტყვიერი შეურაცხყოფა გახდა. ზვიად საბანაძეს, გიორგი ჯანქანიძეს და პეტრე თავლიაშვილს ბრალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით წაყენათ. სასამართლომ ზვიად საბანაძე 100 ლარით დააჯარიმა, ხოლო გიორგი ჯანქანიძეს და პეტრე თავლიაშვილს 30-30 დღიანი პატიმრობა მიესაჯათ⁴⁷.

22 აგვისტოს ბოლნისში „ქართული ოცნების“ აქტივისტი **ნოე ახაშვილი** დააკავეს⁴⁸. პოლიციას დაკავების მიზეზისა და ბრალდების შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებია. ასევე უცნობია „ქართული ოცნების“ წყალტუბოელი აქტივისტების **გიორგი ბაბუნაშვილის** და **ბექა გიორხელიძის** დაკავების მიზეზი, რომლებიც 6 სექტემბერს, ქუთაისში, ბერა ივანიშვილის კონცერტის დასრულების შემდეგ დააკავეს⁴⁹.

ბოლო პერიოდში განხორციელებულ დაკავებებთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გააკეთა განცხადება⁵⁰, სადაც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, გაითვალისწინონ საქართველოში დღეს არსებული ვითარება და მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში მიიღონ მსგავსი ტიპის ზომები.

⁴⁷ <http://police.ge/index.php?m=222&newsid=3525>

⁴⁸ <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=3043>

⁴⁹ http://newpress.ge/index.php?page=1&news_id=576

⁵⁰ <http://transparency.ge/post/general-announcement/gantskhadeba-dakavebebis-shesakhebi>

გარდა ამისა, აღნიშნულ ტენდენციასთან დაკავშირებით გავლენიანმა ორგანიზაციამ Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ „მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები თითოეული დაკავებულის საპროცესო უფლებების დასაცავად და უზრუნველყოს, რომ თითოეული საქმე, მიუხედავად მისი კრიმინალური თუ ადმინისტრაციული ხასიათისა, გარჩეულ იყოს კანონიერი სასამართლო პროცესის პირობებში. თითოეულ დაკავებულს აქვს უფლება მოითხოვოს საკუთარი საქმის გარჩევა და საკუთარი უფლებების პატივისცემა დაკავების პერიოდში“⁵¹, ხოლო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა, რომ იმ შემთხვევებში, სადაც ეს შესაძლებელია და რაციონალურია, სასჯელის შედარებით მსუბუქი ზომა, მაგალითად ჯარიმა, იქნეს გამოყენებული⁵².

2. ფიზიკური ანგარიშსწორება

წინასაარჩევნო პერიოდში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობის გამო ადამიანების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ბევრი ფაქტიც დაფიქსირდა. ამ შემთხვევაშიც ამ ტიპის ზეწოლის ფაქტებმა განსაკუთრებით ბოლო დღეებში იმატა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს წინასაარჩევნო გარემოს. ამ ტიპის ინციდენტების ზუსტ რაოდენობაზე საუბარი აქაც რთულია იგივე მიზეზით, ანუ მოკლედ დროის განმავლობაში იმდენი შემთხვევა დაფიქსირდა, რომ შეუძლებელი იყო მათი გადამონშება.

24 ოქტომბერს გარდაბანში „ქართული ოცნების“ აქტივისტს, **ბუბა დვალს** უცნობი პირები საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან დახვდნენ და სახეში მუავა შეასხეს⁵³.

24 ოქტომბერს გორში „ქართული ოცნების“ აქტივისტები **გიორგი კახაშვილი** და **ტარიელ სუჯაშვილი** ათამდე ნიღბიანმა პირმა ხელკეტებით სცემა.

23 სექტემბერს წნორში „ქართული ოცნების“ მაისურის ტარებისთვის სცემეს კოალიციის აქტივისტი **გელა დარჩიაშვილი**⁵⁴.

23 სექტემბერს „ქართული ოცნების“ ვასპის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი **ილია ნონიაშვილი** ჯიპის მარკის ავტომანქანით გაიტაცეს და სცემეს⁵⁵. ილია ნონიაშვილის განცხადებით, უცნობმა პირებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა „ქართული ოცნების“ მაისურის ტარების გამო მიაყენეს. პოლიციამ იგი მოწმის სტატუსით დაკითხა.

2012 წლის 9 სექტემბერს „ქართული ოცნების“ თელავის აქციის შემდეგ **ანგელი ბოჩაშვილს** და **ხიზირ ქუშაშვილს**, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილს თეთრი ნაბადი აჩუქეს 30-დე ადამიანი დაესხა თავს⁵⁶.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ქართული ოცნების“ აქტივისტებზე ფიზიკური ზეწოლისთვის არცერთი პირი ჯერ კიდევ არ არის დაკავებული.

3. პარტიის საქმიანობისთვის ხელის შეშლა

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების კამპანია დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს და საკმაოდ ხშირია მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლის შემთხვევები.

რეგიონებში წინასაარჩევნო აქტივობების უსაფრთხოდ და მშვიდობიანად ჩატარებაში განსაკუთრებული როლი ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრია, ამიტომ მისი პოლიტიკურ

⁵¹ <http://www.hrw.org/news/2012/09/26/georgia-misuse-administrative-detention-violates-rights>

⁵² <http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6213>

⁵³ <http://goo.gl/Qo4Hb>

⁵⁴ <http://info9.ge/?l=E&m=1000&id=5501>

⁵⁵ <http://qartli.ge/web/7837>

⁵⁶ http://www.youtube.com/watch?v=E563PlkTpY&feature=player_embedded

დაპირისპირებებში მონაწილეობა სრულიად მიუღებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენს წინა ანგარიშში მრავლად დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პარტიულ დაპირისპირებებს უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აღვივებდნენ და ორგანიზებას უწევდნენ. წინასაარჩევნო პერიოდში მსგავს ქმედებებს კვლავ ჰქონდა ადგილი. როგორც წესი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების რეგიონებში ვიზიტს თან ახლდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან დაპირისპირებები, რომლებშიც ყველაზე აქტიურ როლს სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეები ასრულებდნენ.

25-26 სექტემბერს „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი კახეთში ჩავიდა და წინასაარჩევნო შეხვედრები გამართა ახმეტაში, ყვარელში, გურჯაანში, სიღნაღში, ლაღოგებსა და დედოფლისწყაროში. ყველა მუნიციპალიტეტში შეხვედრისას დაფიქსირდა ხელის შეშლის ფაქტები, რომლებიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული⁵⁷. კერძოდ:

25 სექტემბერს ყვარელსა და გურჯაანში შეხვედრებისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ივანიშვილს საპროტესტო შეძახილებით დახვდნენ. ყვარელში მმართველი პარტიის აქტივისტები შეხვედრის მიმდინარეობისას სიგნალებით და ხმამაღალი შეძახილებით გადაადგილდებოდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი ყვარლის გასასვლელში ბიძინა ივანიშვილის ესკორტს ე.წ. „სირცხვილის კორიდორი“ მოუწყეს. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან ერთად ყვარელში იმყოფებოდა სოფელ მთისძირის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული მალხაზ კალაიჭიშვილი⁵⁸.

გურჯაანში ბიძინა ივანიშვილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები, რომელთა შორის, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მრავლად იყვნენ სკოლის მოსწავლეები, დიდების მემორიალთან დახვდნენ სხვადასხვა ტიპის საპროტესტო ტრანსფარანტებით. შეხვედრის მიმდინარეობისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები სცენიდან დაახლოებით 40 მეტრის მოშორებით იდგნენ და ხმამაღლა ყვიროდნენ: „მოლაღატე, წადი“, „საქართველო პინგვინების გარეშე,“ „მიშა, მიშა“. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილის გიორგი სიბაშვილის შვილი თორნიკე სიბაშვილი, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის დავით ფურცელაძის შვილი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები ოთარ იმერლიშვილი და თემურ ბუნაშვილი. მათ ივანიშვილს „სირცხვილის კორიდორი“ გურჯაანშიც მოუწყეს⁵⁹. მსგავსი მეთოდები და იქნა გამოყენებული 26 სექტემბერს სიღნაღში, ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში ბიძინა ივანიშვილის მიერ გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრებისასაც.

პარტიებს შორის კონფრონტაციის შემთხვევები აგვისტოშიც მრავლად იყო.

4 აგვისტოს აჭარის მაღალმთიან კურორტ ბეშუმში, სახალხო დღესასწაულზე ჩასულ „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის ინციდენტი მოხდა⁶⁰. პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის დროს ბეშუმს კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ესტუმრა. ოპოზიციის წევრებს კურორტის შესასვლელი მანქანებით ჩახერგილი დახვდათ და მმართველი პარტიის მხარდამჭერებმა ისინი ალყაში მოაქციეს, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

6 აგვისტოს ყვარლის რაიონის სოფელ ჩანტლისყურეში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის დავით ქევხიშვილის მოსახლეობასთან შეხვედრას „ერთიანი

⁵⁷ <http://ick.ge/ka/articles/12523-1-n-6.html>

⁵⁸ იქვე

⁵⁹ იქვე

⁶⁰ http://www.youtube.com/watch?v=HbYs7wtGVwc&feature=player_embedded

ნაციონალური მოძრაობის” მხარდამჭერ მაისურებში გამონწყობილი პირები ხელს უშლიდნენ⁶¹.

10 აგვისტოს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ირაკლი ტრიპოლსკის დუშეთში ამომრჩეველთან წინასაარჩევნო შეხვედრა ჩაუშალეს⁶². შეხვედრის ჩაშლაში მონაწილეობდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები **ირმა ჯანგირაშვილი** და **მარინა მთიულიშვილი**, სოფელ ოძისის რწმუნებულის მეუღლე, ოძისის საჯარო სკოლის დირექტორი **სოფიო გაბრიელაშვილი**, დუშეთის სკოლა პანსიონის დირექტორი **დარეჯან თომაძე**, სპორტული სკოლის დირექტორი **ნიკო ჯიქურაული**, სოფელ მჭადიჯვრის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი **მედეა არათანაშვილი**, გამგებლის ბესიკ შალაშვილის დედა **მაგული შალაშვილი**, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის შალვა ინაშვილის სიდედრი **ლუდა დუდაური** და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის წევრი **თინა საღირაშვილი**.

19 აგვისტოს „ქართული ოცნების“ რუსთავში გასამართ აქციასთან დაკავშირებით რაიონიდან ავტოტრანსპორტი არ მოძრაობდა⁶³. თეთრიწყაროს რაიონის ავტოსადგურის თანამშრომლების განცხადებით მათ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღეს გაფრთხილება რომ დილიდან მთელი დღის განმავლობაში არც ერთი მიკროავტობუსი თბილისის და რუსთავის მიმართულებით არ გაემშვით. ასევე, მოსახლების განცხადებით,⁶⁴ მამასახლისებს დაევაალათა სადარბაზოს კოორდინატორების დახმარებით მოსახლეობის გაფრთხილება, რათა არავინ გამოსულიყო კოალიციის შეხვედრაზე

2012 წლის 15 სექტემბერს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მამუკა არეშიძეს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების მოსახლეობასთან შეხვედრაზე ერთ-ერთმა მცხოვრებმა მას გაურკვეველი საგანი ესროლა⁶⁵. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაისურებში გამონწყობილი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომლებიც ამავე დროს გამგეობის წევრები არიან და რომლებსაც მმართველი პარტიის ადგილობრივი კოორდინატორი **ნიკო ჯანტურიძე** ხელმძღვანელობდა, შეხვედრა შეხლა-შემოხლაში გადაიბარდა.

„ქართული ოცნების“ მხრიდან პარტიის საქმიანობაში ხელის შეშლაზე საუბრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“. 23 სექტემბერს მმართველი პარტიის პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა გააკეთა განცხადება, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების შევიწროვების რამდენიმე ფაქტი იყო მოყვანილი⁶⁶. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, **ლუკა კურტანიძის** შემთხვევა; გავრცელდა ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ კურტანიძე მმართველი პარტიის მხარდამჭერ ორ საჯარო მოხელეს ემუქრება და მათგან პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ საქმიანობის შეწყვეტას მოითხოვს⁶⁷.

4. სამსახურიდან გათავისუფლება

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის აგვისტომდე ზენოლის ყველაზე გავრცელებული კატეგორია იყო. თუმცა 1 აგვისტოდან ასეთი შემთხვევები გაცილებით ნაკლებად გვხვდება.

⁶¹ <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=2251>

⁶² http://www.youtube.com/watch?v=1B7nBDst59A&feature=player_embedded

⁶³ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/12224/>

⁶⁴ <http://kkpress.ge/index.php?do=fullmod/news&id=329&mid=3>

⁶⁵ <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4799>

⁶⁶ <http://goo.gl/Bahlj>

⁶⁷ <http://www.youtube.com/watch?v=O3GeNOjWmEk>

5 აგვისტოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესტიის განყოფილების ყოფილი თანამშრომლები, **დავით და რაულ ჩართოლანები**, სამსახურიდან დათხოვნას⁶⁸ მათი სიძის, მამუკა გირგვლიანის კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ განწევრებას უკავშირებდნენ.

17 აგვისტოს ადიგენის საავადმყოფოს „უნიმედი სამცხესა“ და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმს **ინა კაპანაძეს**, რომელიც „ქართული ოცნების წევრია“ შეწყვეტილი შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს⁶⁹. მისი განცხადებით, იგი მოსახლეობასთან „ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრას დაესწრო, რის შემდეგაც საავადმყოფოს მენეჯერმა **ლალი ბალახაშვილმა** განუცხადა რომ უნდა დაეტოვებინა სამსახური სადაზღვევო კომპანიის „ალდაგი ბისიას“ გენერალური დირექტორის **ეკა შავგულიძის** დავალებით.

2012 წლის 6 სექტემბერს დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის N25 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი „ქართული ოცნებიდან“, **ლედი ნათაძე** სამსახურიდან გაათავისუფლეს იგი საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო.⁷⁰

⁶⁸ <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=2226>

⁶⁹ <http://sknews.ge/index.php?newsid=451#.UGBfnLIgcwv>

⁷⁰ <http://www.icmm.ge/ka/site/news/2442>

III. სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება

სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსის წინასაარჩევნოდ გამოყენება ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების ერთ-ერთი სახეა და გულისხმობს წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებას. თუმცა, ეს არ არის მკაცრად განსაზღვრული დეფინიცია და ინსტიტუციური რესურსების უკანონო გამოყენებამ შესაძლოა უფრო ფართო შინაარსიც შეიძინოს.

წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების რამდენიმე საგულისხმო ტენდენცია გამოვლინდა.

1. საჯარო სამსახურებში გამოყენებული სააგიტაციო მასალა

სააგიტაციო მასალის გამოყენების წესებს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლი არეგულირებს. აღნიშნული ნორმა ასევე ადგენს სააგიტაციო პლაკატების გამოყენების რეჟიმს და განსაზღვრავს იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალს, სადაც აკრძალულია პლაკატების განთავსება. წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით ხშირი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის შენობებზე საარჩევნო პლაკატების განთავსების ფაქტები, რაც ზემოთ აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით აკრძალულია.

13 აგვისტოს გურჯაანში ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური განვითარების სამსახურის სპეციალისტის მარინე ჩითინაშვილის სამუშაო კაბინეტში დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სააგიტაციო პლაკატები⁷¹.

15 აგვისტოს მსგავსი ტიპის დარღვევას ჰქონდა ადგილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის ტერიტორიულ ორგანოს შენობაშიც, სადაც სოფლის რწმუნებულს სამუშაო კაბინეტში სააგიტაციო პლაკატები ჰქონდა გავრული⁷².

16 აგვისტოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის და სპეციალისტების სამუშაო ოთახების კედლებზე დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო პლაკატები, საარჩევნო ნომერი შენობის მეორე სართულზე და ფანჯრებზე⁷³.

აღნიშნულ ფაქტებზე მივმართეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც განახორციელა კანონის შესაბამისი მოკვლევა და კანონდამრღვევთა მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები, რაც გადაეგზავნა სასამართლოს⁷⁴.

იღენტურ დარღვევას ქონდა ადგილი რუსთავში⁷⁵, სამხედრო აღრიცხვისა და განვების სამსახურის უფროსის, მინდია აფციაური მხრიდან, რომელსაც საკუთარ სამუშაო კაბინეტში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პოსტერები ეკიდა. აღნიშნულ ფაქტი დაწვრილებით მიმოხილულ იქნა მეორე თავში.

⁷¹ <http://www.youtube.com/watch?v=AU9tuJIHFQ0>

⁷² <http://tv9.ge/?m=6&id=4725>

⁷³ <http://ick.ge/ka/articles/11955-5-.html>

⁷⁴ http://cesko.ge/files/2012/Report_on_Complaints_01_08_2012_-_17_09_2012_GEO_Z.pdf; 69-ე, 70-ე და 84-ე

გვერდები.

⁷⁵ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15348&lang=geo>

2. საჯარო მოხელეების უკანონო მონაწილეობა საარჩევნო აგიტაციაში

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანები უკანონოდ მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო აგიტაციაში.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, 8 სექტემბერს თელავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობას შსს-ის კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სამხედრო პოლიციის თანამშრომლები ესწრებოდნენ, კერძოდ, გურჯაანის პოლიციის თანამშრომლები **ლევან მაისურაძე**, პოლიციის უფროსის მოადგილე **გოჩა სიბაშვილი**, შსს-ის კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **შოთა ბეჟანიშვილი** და სამხედრო პოლიციის თანამშრომელი **მამუკა სოლოღაშვილი**. ისინი სამოქალაქო ფორმაში იყვნენ და სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ⁷⁶.

საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის განევა და აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს. აღნიშნული წესიდან ერთადერთი გამონაკლისია პოლიციის ყოფნა მსგავსი შეხვედრების მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ასეთი ქმედება ასევე იკრძალება საქართველოს კონსტიტუციით, „პოლიციის შესახებ“ კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

იგივე ნორმები დაირღვა 19 აგვისტოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში, სადაც პოლიციის თანამშრომლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლიკიანი მაისურებით გადაადგილდებოდნენ, რაც მოსახლეობისთვის პოლიტიკურ აგიტაციად აღიქმება⁷⁷.

საარჩევნო კოდექსის დარღვევას ქონდა ადგილი საჯარო მოხელის მხრიდან 3 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში, სადაც სოფლის რწმუნებული ვაჟა მახარაძე სამუშაო საათებში თავად არიგებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო მასალას, რაც კოდექსის თანახმად უკანონო აგიტაციაა და კოდექსის დარღვევად ითვლება⁷⁸.

სამსახურებრივი მდგომარეობის უკანონოდ გამოყენებად მიიჩნია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თელავში დაფიქსირებული ფაქტი, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაისურებში ჩაცმული ადამიანები მოსახლეობას სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ დახმარებას ურიგებდნენ, რითიც ეწოდნენ პროპაგანდას კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ⁷⁹. აღსანიშნავია, რომ ცესკომ ამ შემთხვევაში თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დააჯარიმა, რადგან პროდუქტის დარიგება მისი ორგანიზებით ხორციელდებოდა და შესაბამისად მის მიერ მოხდა სამსახურებრივად დამოკიდებული პირების აგიტაციაში უკანონოდ ჩაბმა⁸⁰.

საჯარო მოსამსახურეების მსგავსი უკანონო ქმედებები ბუდნოვანს ხდის ზღვარს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის, ამომრჩევლისათვის რთული გასარჩევი ხდება პარტიული ღონისძიება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტისგან, რითაც ასევე ირღვევა ეუთოს 1990 წელს შემუშავებული კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი, რაც ავალდებულებს ქვეყანას, რომ პარტია არ უნდა იყოს აღრეული

⁷⁶ <http://ick.ge/ka/articles/12306----photos.html>

⁷⁷ <http://goo.gl/QIZNb>

⁷⁸ <http://goo.gl/3SHCM>

⁷⁹ <http://ick.ge/ka/articles/12170-----photos-video.html>

⁸⁰ http://cesko.ge/files/2012/Report_on_Complaints_01.08.2012_-_20.09.2012_GEO.pdf; 89-ე გვერდი.

სახელმწიფოსთან და ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოს და პოლიტიკურ პარტიის მკაფიო გამიჯვნა.

3. სახელმწიფო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

სახელმწიფო ინსტიტუციური რესურსების წინასაარჩევნოდ გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია ადგილობრივი თუ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების პარტიის სასარგებლოდ გამოყენება. განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

2012 წლის 30 აგვისტოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ დაფიქსირდა საქართველოს სამთავრობო პროგრამის - „მეტი სარგებელი ხალხს“ (metisargebeli.ge) ვებგვერდზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარეკლამო ვიდეოკლიპის არსებობის ფაქტი⁸¹.

აღნიშნული ფაქტი არღვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ ითვლება ადმინისტრაციული რესურსების უკანონო გამოყენებად და 88-ე მუხლის მიხედვით ექვემდებარება დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

აქედან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ აღნიშნული დარღვევის შესახებ 30 აგვისტოს მიმართა⁸² ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. იმავე დღეს ტელეკომპანია „მანეტროს“ ეთერში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გავიდა სიუჟეტი⁸³, სადაც ნათლად ჩანს სამთავრობო პროგრამის ვებგვერდზე განთავსებული პოლიტიკური რეკლამა.

4 სექტემბერს ცესკოდან მივიღეთ პასუხი⁸⁴, სადაც აცხადებენ, რომ ჩვენს მიერ მიწოდებულ ინტერნეტ ბმულიდან შეუძლებელია რაიმე სახის ინფორმაციის მიღება და დამატებითი ინფორმაცია არის საჭირო.

როგორც გაირკვა, ჩვენს მიერ ცესკოსთვის ზემოთ აღნიშნული წერილის გაგზავნის შემდეგ ჩვენთვის უცნობი მიზეზით ვებგვერდმა www.metisargebeli.ge ფუნქციონირება შეწყვიტა და შესაბამისად შეუძლებელი გახდა მასზე ინფორმაციის გადამოწმება. თუმცა ჩვენ მიერ გადაღებული ე.წ. „სქრინშოტი“ და ტელეკომპანია „მანეტროს“ სიუჟეტი ნათლად ადასტურებს 30 აგვისტოს მდგომარეობით სამთავრობო პროგრამის ვებგვერდზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო რეკლამის არსებობის ფაქტს.

აღნიშნული ფაქტი არ გახლდათ სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების პარტიული მიზნებით გამოყენების ერთადერთი შემთხვევა. სექტემბრის პირველ ნახევარში სასამართლომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის მიმართვის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო შესაბამისი პასუხისმგებელი პირი 14 ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობიდან, რომელთა ინტერნეტ ვებგვერდებზე განთავსებული იყო მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატების სურათები, საარჩევნო სუბიექტის ნომერი „5“, საარჩევნო

⁸¹ <http://transparency.ge/files/images/metisargebeli-screenshot.png>

⁸² <http://transparency.ge/files/docs/letter-to-cec.pdf>

⁸³ http://www.youtube.com/watch?v=mkGAL9WvtHo&feature=player_embedded#

⁸⁴ <http://goo.gl/Aj3Xx>

პროგრამა და საარჩევნო სააგიტაციო მასალა. ასევე ცალკეულ შემთხვევებში ვებგვერდების მეშვეობით ხორციელდებოდა ოპოზიციური გაერთიანების საინინაალმდეგო აგიტაცია⁸⁵.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 12 სექტემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ასევე წინასაარჩევნო გარემოს ეხებოდა⁸⁶ აღნიშნული იყო მრავალი ფაქტი, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის რეგიონებში გამართულ შეხვედრებზე დასასწრებად ხდებოდა საჯარო მოსამსახურეთა მასობრივი მობილიზება, რაშიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული რესურსები.

მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი 24 სექტემბერს გურჯაანში⁸⁷, სადაც ასევე შეხვედრის აუდიტორიის ძირითად ნაწილს საჯარო მოსამსახურეები შეადგენდნ და მათი უმრავლესობა აცხადებდა, რომ მათი მგზავრობა საბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსდა. თუმცა წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში პრეზიდენტი მოსახლეობას ხვდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და არა როგორც სახელმწიფოს პრეზიდენტი, შესაბამისად შეხვედრის ორგანიზებისთვის გამოყენებული მატერიალური თუ არამატერიალური სახსრები პარტიის სასარგებლოდ გამოყენებულ ადმინისტრაციულ რესურსებად უნდა ჩაითვალოს, შესაბამისად ირღვევა საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლი და ასევე იკვეთება 49-ე მუხლის დარღვევის ნიშნებიც, რაც გულისხმობს სამსახურეობრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების პარტიულ აგიტაციაში ჩაბმას.

⁸⁵ [http://cesko.ge/files/2012/Report_on_Complaints_01.08.2012 - 20.09.2012 GEO.pdf](http://cesko.ge/files/2012/Report_on_Complaints_01.08.2012_-_20.09.2012_GEO.pdf); 91-ე გვერდი

⁸⁶ „წინასაარჩევნო პროცესების ანალიზი“ <http://transparency.ge/post/report/new-ti-georgia-report-pre-election-environment-geo>

⁸⁷ <http://www.youtube.com/watch?v=yCCqKAct1g>

IV. ამომრჩევლის მოსყიდვა

სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გარდა, წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგისას საყურადღებო საკითხია, ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტების გამოვლენა. ამომრჩევლის მოსყიდვა არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის დეფინიცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164¹-ე მუხლში და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 47-ე მუხლშია მოცემული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით:

„საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან განწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება ისე, თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.“⁸⁸

ამომრჩევლის მოსყიდვა გავლენას ახდენს მოქალაქეების არჩევანის თავისუფლებასა და ნების თავისუფალი გამოხატვის პროცესზე ამდენად, ამ საკითხს სახელმწიფოს მარეგულირებელი ორგანოები და პოლიტიკური პარტიები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, რომლებშიც ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები იკვეთებოდა.

ამა წლის 27 აგვისტოს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის⁸⁹, ზურაბ ოტიაშვილის მიერ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვასთან დაკავშირებით. 25 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“. აღნიშნული ღონისძიების მიმდინარეობისას, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ზურაბ ოტიაშვილი ადგილობრივ მაცხოვრებელს, გიორგი ბასილაშვილს 500 ლარით დაეხმარა. აღნიშნულს თავად ოტიაშვილი⁹⁰ და მონაწილეებიც ადასტურებენ⁹¹.

ამა წლის 31 აგვისტოს გავრცელებული ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი დუშეთის საარჩევნო ოლქში იქნება არა ზურაბ ოტიაშვილი, არამედ ნინო ხუციშვილი, თუმცა, ეს ცვლილება გავლენას არ ახდენს 25 აგვისტოს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციაზე, საიდანაც ნათლად იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 164¹-ე მუხლის შემადგენლობა - საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ პირისათვის ფულის გადაცემა, რაც დანაშაულს წარმოადგენს და ისე, თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.

მსგავსი დარღვევა იკვეთება 12 აგვისტოს დიდგორობის⁹² დღესასწაულთან დაკავშირებულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამართულ ღონისძიებაზე, სადაც პარტიის ხარჯით მასიური სადღესასწაულო სუფრა გაიშალა რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც პარტიის აქტივისტები ისე რიგითი მოქალაქეებიც. აღნიშნულ ქმედებას საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი შეესაბამება - „საარჩევნო

⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 164¹-ე მუხლი.

⁸⁹ <http://www.youtube.com/watch?v=9LGnAfNjNZU>

⁹⁰ <http://goo.gl/zxvyF>

⁹¹ <http://maestro.ge/?address=uc&id=34482&page=3>

⁹² <http://tv9.ge/?m=6&id=4654>

სუბიექტების... მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის... საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), ...საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება..." აკრძალულია და ითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად.